ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3250810

ნომერი: AR1497381

თარიღი : 21.04.2017

გაცემის თარიღი : 08.05.2017

გაცნობის თარიღი : 08.05.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , ზემო პლატო , კორპუსი 47 , მიმდებარედ ნაკვეთი 06/060/ ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , ზემო პლატო , კორპუსი 47 , მიმდებარედ , ნაკვეთი 06/061 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლაშა ლალიაშვილი პ/ნ 01025005491
- პეტრიწის 8 ბ

ორგანიზაცია:
- შპს მწვანე სახლი კოდი: 404997740

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 21 აპრილის №AR1497381 განცხადება, 2016 წლის 18 ნოემბრის №2965885 ბრძანებაში, დამკვეთის ინფორმაციაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2965885 ბრძანებით გაიცა: ქ. თბილისში,სექტორი – სამგორი, დასახლება ვარკეთილი, ზემო პლატო, კორპუსი 47, მიმდებარედ ნაკვეთი 06/060/ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, ზემო პლატო, კორპუსი 47, მიმდებარედ, ნაკვეთი 06/061, შპს "მწვანე უბანი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ს/კ №01.19.20.006.076, შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სპორტული დარბაზით) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის ნოემბრიდან 2019 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა ლაშა ლალიაშვილი.

წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2965885 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს ,, ჟორდანიას 21/23''-ის დაფიქსირებას. მიწის ნაკვეთის ს/კ: N 01.19.20.006.076 მესაკუთრეს, საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: № 882016658458, მომზადების თარიღი: 2016 წლის 26 სექტემბერი, 17:14:58) თანახმად, წარმოადგენს შპს ,,შპს მწვანე უბანი''(ს/კ:406137988).

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწის ნაკვეთის ს/კ: N 01.19.20.006.076, მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,მწვანე უბანი'' (ს/კ:406137988),ასევე ვერ დგინდება შპს ,,ჟორდანიას 21/23''-ის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი და განცხადებასთან ერთად არ არის წარმოდგენილი უფლებამოსილების ან/და შპს ,, ჟორდანიას 21/23''-ის მიერ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ინტერესის ქონის დამადასტურებელი დოკუმენტი, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დაამკაყოფილოს თქვენი მოთხოვნა ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.